ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** - შპს ბუსსს ანრის დირექტორის მიერ (2026 წლის 12 იანვრის სენატის სხდომის ოქმი N01; შპს ბუსსს ანრის დირექტორის 2026 წლის 12 იანვრის ბრძანება N08-01/26);
3. **შედის მოქმედების ვადაში –** დამტკიცების მომენტიდან;
4. წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს მე-19 (მეცხრამეტე) სასწავლებლის დაარსებიდან დღემდე.
5. ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი ხორციელდება ყოველწლიურად, წლის ბოლოს ან ახალი წლის დასაწყისში.

ანალიზში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები (პუნქტები)	ცვლილებების განმხორციელებელი პირის ხელწერა

ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

შინაარსი

1. გავრცელების სფერო 5
2. მითითებები 5
3. ტერმინები,განსაზღვრებები, შემოკლებები 5
4. ზოგადი დებულება 6
5. ანალიზის ჩატარება 6
6. ანალიზის შედეგაბ ანგარიშის შედგენის პრინციპები 7
7. ჩატარებული ღონისძიებების / ატივობების ანგარიში (სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების სესრულების ანალიზი) 9
   - სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანალიზი 13
   - ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი 13
8. ბუსსს ანრის ხმს-ის შიდა შემოწმების, თვითშეფასების, ვერიფიკაციის და ვალიდაციის პროცესების შეფასება 28
9. ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე აუდიტის/შემოწმების შედეგები 31
10. სსიპ საზღვაო სააგენტოს მიერ მიერ ჩატარებული აიდიტის შედეგები 33
11. სხვა გარე შემოწმებების შედეგები 35
12. ფუნდამენტალური პროცესების დაცვა 35
13. ყოველდღიურ მუშაობაში გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრისთვის ჩატარებულ სამუშაოთა ანალიზი 57
14. პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და მეზღვაურებისგან შემოსული პრეტენზიების ანალიზი, გაწეული მომსახურების შეფასება, დახასიტება, რეკომენდაციები 57
15. SWOT ანალიზი 58
16. შესრულებული და შეუსრულებელი მიზნების მიზან-შედეგობრივი ანალიზი 59
17. რისკების შეფასების ანალიზი 60
18. ხარისხის პოლიტიკის, მიზნების და ორგანიზაციული კონტექსტის ანალიზი, განახლება 61
19. ბუსსს ანრის მუშაობისა და ხმს–ის მუშაობისთვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტების საკმარისობა 64
20. წინადადებები შპს ბუსსს ანრიში ხმს–ის ამაღლების და მუდმივად შენარჩუნების შესახებ 65
21. ხმს გაუმჯობესების რეკომენდაციები 65
22. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი 67
23. პერსონალის ანალიზთან გაცნობის ფურცელი 68
24. შეთანხმების ფურცელი 70

ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

1.გავრცელების სფერო

წინამდებარე ანალიზი ითვლება ნორმატიულ დოკუმენტად შპს ბუსსს ანრის მთელი პერსონალისათვის.
წინამდებარე ხმს ანალიზის ეგზემპლიარი ინახება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში და გასაჯაროებულია ბუსსს ანრის ვებგვერდზე და შიდა ქსელში.

2. მითითებები

წინამდებარე ხმს ანალიზის მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. ნდ №-2-0101 ხარისხის სახელმძღვანელო;
4. ნდ № 2-0201-01 დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა.

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე ხმს ანალიზში გამოყენებულია ის ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები რომლებიც გამოყენებულია ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელოში, მათ შორის:

1. **ბუსსს ანრი (სასწავლებელი, კოლეჯი)** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
3. **საზღვაო სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
4. **რუსული რეგისტრი (რ.რ.)**- სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“
5. **ISO** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
6. **ხმს** – ხარისხის მართვის სისტემა;
7. **პსდ –** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
8. **ნდ** – ნორმატიული დოკუმენტი;
9. **SWOT ანალიზი** - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზების მეთოდი

10. პროფესიული სტუდენტი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

4. ზოგადი დებულება

1) ხმს-ის ანალიზი ტარდება ხარისხის მართვის სისტემის დამაკმაყოფილებელი და უწყვეტი მუშაობის დამტკიცების მიზნით, ასევე იმ მიზნით, რომ შემოწმებულ იქნას ბუსსს ანრიში ხმს-ის მუდმივი და ეფექტური მუშაობა მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად თავისი მომსახურების/პროდუქციის გაუმჯობესებისათვის;
2) დასამოწმებლად, აკმაყოფილებს თუ არა სასწავლებლის პოლიტიკა და მიზნები ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტს, შეესაბემაბ თუ არა პროცესები სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვა ბუსსს ანრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთშორისო მოთხოვნებს, საკანონმდებლო აქტებს.
3) ანალიზი ჩატარდა ბუსსს ანრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების წლიური ანგარიშების, სტარტეგიული, სამოქმედო და წლის სხვადასხვა მიმართულების/პროცესის გეგმების საფუძველზე.

5. ანალიზის ჩატარება

1) ხმს ანალიზი ტარდება წელიწადში ერთხელ; ყოველი წლის შედეგების შესაჯამებლად, წლის ბოლოს ან ახალი წლის იანვარში;
2) ხმს ანალიზის შემუშავება ხდება ხარისხის სამსახურის მიერ ბუსსს ანრის მუშაობის წლიური შედეგების საფუძველზე (წლის განმავლობაში და წლის ბოლოს ბუსსს ანრის ყოველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და/ან საქმისმწარმოებლის ანგარიშების/მოხსენებების გათვალისწინებით);
3) ხმს ანალიზის განხილვა ხდება სენატის სხდომაზე;
4) სენატის მიერ მიღებულ ხმს ანალიზის საბოლოო ვერსიას ამტკიცებს დირექტორი;
5) ხმს ანალიზის გასაცნობათ იმართება შეხვედრა თანამშრომლებთან;
6) ხმს ანალიზის დამტკიცებული ვერსია ხელმისაწვდომია სასწავლებლის თანამშრომელბისთვის შიდა ქსელში, ასევე გასაჯაროებულია ბუსსს ანრის ვებ-გვერდზე;
7) ბუსსს ანრის ადმინისტრაციის მიერ ხმს-ს ანალიზის ჩასატარებლად მოცემულია ბლოკ-სქემა.



6. ხმს-ს ანალიზის შედეგად ანგარიშის შედგენის ძირითადი პრინციპები

1) ხმს ანალიზს შეიმუშავებს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღავენელების და/ან საქმისმწარმოებლის წლიური ანგარიშების/მოხსენებების საფუძველზე, განიხილება სენატის სხდომაზე და ამტკიცებს დირექტორი;
2) ხმს ანალიზის ანგარიში მოიცავს:
   - **ჩატარებული ღონისძიებების / ატივობების ანგარიში** - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში / ანალიზი, დაგეგმილი დადაუგეგმავი აქტივობების ანგარიში;
   - **ბუსსს ანრის აუდიტორების მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა შემოწმების შედეგების შეფასება** ბუსსს ანრის შიდა აუდიტორების მიერ ჩატარებული ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების შედეგების შეფასება; შეფასებაში მოცემულია:
     - როდის და რომელი დოკუმენტის თანახმად ჩატარდა შიდა შემოწმება;
     - შესრულებულია თუ არა შიდა შემოწმების ჩატარების გეგმა;
     - შეუსაბამობების აქტემის რაოდენობა;
     - შეუსაბამობათა აღნიშვნა ხარისხის სახელმძრვანელოს პუნქტების მიხედვით;
     - შეუსაბამობათა აღმოფხვრა დადგენილ ვადებში: (რომელიმე შეუსაბამობის არ აღმოფხვრის შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს მიზეზი
   - **ბუსსს ანრის აუდიტორების მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა შემოწმების შეუსაბამობათა აღმოფხვრის შედეგები** - ჩატარებული ხმს შიდა აუდიტების შედეგებიდან გამომდინარე შეესაბამება თუ არა ხარისხის მართვის სისტემის ISO 9001:2015 მოთხოვნებს სასწავლებელში

მიმდინარე საქმიანობა. აღმოფხრილია თუ არა და დროულად აღმოფხვრილია თუ არა ყველა ხმს შიდა აუდიტების შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამობები.

- **გარე აუდიტორების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების შეფასება** - გარე შემოწმების შედეგების შეფასება. სასერთიფიკაციო ორგანოს ან სხვა გარე აუდიტორების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები:
  - როდის და რომელი დოკუმენტის/მოთხოვნის თანახმად ჩატარდა გარე შემოწმება;
  - შეუსაბამობების აქტების რაოდენობა;
  - რა სახის შეუსაბამობა იქნა გამოვლენილი და რომელი სტანდარტების/რეგულაციების შესაბამისად;
  - შეუსაბამობათა აღმოფხვრა დადგენილ ვადებში, (თუკი რომელიმე შეუსაბამობა არ იქნა აღმოფხვრილი უნდა აღინიშნოს მიზეზი);
  - ჩატარებული ღონისძიებები
- **ფუნდამენტალური პროცესების დაცვა, ბუსსს ანრის მუშაობისა და ხმს-ის მუშაობისათვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტების საკმარისობა:**
  - ბუსსს ანრიში ნორმატიული დოკუმენტების საკმარისობა, ახალის შემუშვება, ძველის განახლება, გაუქმება და ა.შ.
  - იყო თუ არა შენიშვნები ანალიზის ჩატარების პერიოდში
  - არსებობს თუ არა ყველა ის ნორმატიული დოკუმენტი, რაც საჭიროა ბუსსს ანრის ფუნქციონირებისათვის;

  ნორმატიული დოკუმენტების საკმარისობა, რაც უზრუნველყოფს ხმს-ს მუშაობას:
  - საკმარისია თუ არა არსებული ხმს-ს დოკუმენტაცია;
  - ანალიზის ჩატარების პერიოდში მუშავდება თუ არა რაიმე ახალი ხმს-ს დოკუმენტი;
  - ხდებოდა თუ არა ხმს-ს დოკუმენტაციის პერიოდული შემოწმება;
  - შემუშავდა თუ არა რაიმე ცვლილება პერიოდული შემოწმების შედეგების საფუძველზე
- **ყოველდღიურ მუშაობაში გამოვლენილი შეუსაბამობების მიხედვით ჩატარებული სამუშაოების ანალიზი**:
  - არსებობს თუ არა ბუსსს ანრიში ყოველდღიურ საქმიანობაში აღმოჩენილ შეუსაბამობათა აღმოფხვრის ჟურნალი;
  - მიმდინარებოს თუ არა რეგისტრირებულ შეუსაბამობაზე მუშაობა
- **პროფესიული სტუდენტების, მსმენენლებისა და მეზღვაურების მიერ ბუსსს ანრიში შემოსული პრეტენზიების ანალიზი**:
  - წარმოებს თუ არა სასწავლებელში მომხმარებლის კმაყოფილების და საჭიროების კვლევა;
  - წარმოებს თუ არა ბუსსს ანრიში საჩივრების, პრეტენზიების რეგისტრაცია;
  - მიმდინარეობს თუ არა რეგისტრირებულ პრეტენზიებზე მუშაობა.

- **ბუსსს ანრის შესრულებული და შეუსრულებელი მიზნების მიზან-შედეგობრივი ანალიზი** კეთდება გასული წლის მიზნების შესრულების ანალიზი. თუ რომელი მიზანი და რამდენად შერულებული; რატომ არ შესრულდა ესა თუ ის მიზანი.
- **ბუსსს ანრის ხმს–ის პოლიტიკისა და მიზნების განახლება** – პოლიტიკა და მიზნების განახლება ხდება ყოველწლიურად, ბუსსს ანრის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გამოკითხვის საფუძველზე.
- **წინადადებები ბუსსს ანრიში ხმს-ის ამაღლების და მუდმივად მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების შესახებ:**
  - შემუშავდა თუ არა წინადადებები მართვითი რგოლის ან პერსონალის მხრიდან დოკუმენტების ან რაიმე პროცესების შესახებ
- **SWOT ანალიზი** - სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა
- **შესრულებული და შეუსრულებელი მიზნების მიზან-შედეგობრივი ანალიზი**
- **რისკების შეფასების ანალიზი**
- **ხარისხის პოლიტიკის, მიზნების და ორგანიზაციული კონტექსტის ანალიზი, განახლება**
- **ბუსსს ანრის მუშაობისა და ხმს–ის მუშაობისთვის საჭირო ნორმატიული დოკუმენეტების საკმარისობა**
- **წინადადებები შპს ბუსსს ანრიში ხმს–ის ამაღლების და მუდმივად შენარჩუნების შესახებ**
- **ხმს გაუმჯობესების რეკომენდაციები**

7. ჩატარებული ღონისძიებების / აქტივობების ანგარიში სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზი

7.1 2026 წლის 12 იანვრის მდგომარეობით ბუსსს ანრი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება /კოლეჯი, რომელიც ახორციელებს ორ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას: „საგებმანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფიელბის ექსპლუატაცია“.

7.2 2026 წლის 12 იანვრის მდგომარეობით სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულია ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი, სადაც ხორციელდება 37 დასახელების სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული კონვენციური საწვრთნელი კურსი. ასევე შემუშავებულია პროგრამები საკრუინგო, გემთფლობელი და საზღვაო დარგის სახმელეთო სამსახურების / კომპანიების მოთხოვნით სხვადასხვა დასახელების არაკონვენციური საწვრთნელი კურსებისთვის; 2026 წელს ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის აღირების მოქმობას ეწურება ვადა, შესაბამისად, დაიგეგმება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დადგენილი თვითშეფასების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

7.3 2025 წელს წარმატებით გავიარეთ ISO 9001:2015 ხარისხის სტანდარტის შესაბამისობაზე რესერტიფიკაციის პროცესი და მივიღეთ ახალი სერტიფიკატი 3 წლის ვადით: სერტიფიკატის ნომერი 25.0381.026, გაცემის თარიღი 28.04.2025, ვადა 27.04.2028.

7.4 2025 წლის დეკემბრიდან ბუსსს ანრი გაწევრიანდა „European Forum of Technicaland Vocational Education and Training"/ ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ევროპული ფორუმში.

7.5 განახლდა სასწაავლებლის ვებ-გვერდი (მომსახურების ხელშეკრულება № 019/25 – 27.11.2025).

7.6 2024 წლის იანვრიდან მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მსმენელის კმაყოფილების კვლევის გაუმჯობესების მიზნით ჩაიშვა გამოკითხვის ახალი ფორმა, ელექტრონულად „google form"-ის პლატფორმის მეშვეობით. ტესტირებაზე/გამოცდაზე დაშვების წინ მსმენელმა უნდა შეავსოს ელექტრონული კითხვარი. დაცული ანონიმურობა და მონაცემთა დამუშავების დროს მკაცრად იყო დაცული პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები. წელიწადში ორჯერ (6 თვეში ერთელ), ხარისხის სამსახური აქეთებს კველვის ანალიზს. ანალიზების შედეგების საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე იგეგმება გასაუმჯობესებელი ქმედებები.

7.7 ბუსსს ანრის ყოველწლიურად თავისი წვლილი შეაქვს ქველმოქმედებაში. 2025 წლის განმავლობაში, სასწავლებელმა განახორციელა 3 საქველმოქმედო აქცია;

7.8 სასწავლებლის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები ყოველ წელს მონაწილეობას ღებულობენ სისხლის დონაციაში.

7.9 2025 წელს, როგორც წინა წლებში, ბუსსს ანრიმ გაუწია სპონსორობა აიპ „ქართველ მეზღვაურთა სამართლებრივი და სოციალური დახმარების ფონდს" მეზღვაურთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზებაში;

7.10 თანამშრომლების წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით უკვე მერვე წელიწადი, წლის დასასრულს ფარული კენჭისყრით (Google form პლატფორმის გამოყენებით) ხდება წლის საუკეთესოებს (საუკეთესო საშტატო თანამშრომელი, საუკეთესო პროფესიული განათლების მასწავლებელი, საუკეთესო ინსტრუქტორი და საუკეთესო პროფესიული სტუდენტი) გამოვლენა. კენჭისყრაში კანდიდატებად არ მონაწილეობს დირექტორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესიული დეპარტამენტის უფროსი და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი, თუმცა მათ უფლება აქვთ დააფიქსირონ თავისი ხმა საუკეთესოს არჩევანში. 2025 წელს საუკეთესო თანამშრომლის გამოვლენა მოხდა

ფარული კენჭისყრით, კორპორატიულ წვეულებაზე. კენჭისყრაში ასარჩევ კანდიდატებად არ მონაწილეობს ბუსსს ანრის დირექტორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესიული დეპარტამენტის უფროსი და მეზღვაურთა წვღთნისა და სერტიფიცირების უფროსი, თუმცა ისინი ღებულობენ მონაწილეობას, როგორც ამომრჩევლები.
2025 წლის საუკეთესოებად გამოვლინდა:

- ✓ საუკეთესო თანამშრომელი უკვე მეოთხე წელიწადი გამოვლენილია ანა მუშამბაძე (2022, 2023, 2024, 2025);
- ✓ საუკეთესო ინსტრუქტორი ზვიად ზამთარაძე;
- ✓ საუკეთესო პროფესიული განათლების მასწავლებელი მირანდა ჭინკაძე-ბაბუნაშვილი;
- ✓ საუკეთესო პროფესიული სტუდენტი გიორგი კინწურაშვილი

ამას გარდა ბუსსს ანრის ადმინისტრაციამ გამოავლინდა დაასახელა შემდეგი ნომინანტები:

- ✓ ქალბატონი სურვეიერი - ნათია დიასამიძე
- ✓ მისის ზე-ოპერატიულობს - სოფიკო მამულაძე
- ✓ ელვა გოგონა - ანა მუშამბაძე
- ✓ ქალბატონი მასპინძელი - თამარ მიქელაძე
- ✓ მისტერ დეტალებზე ორიენტირებული - მინდია თავართქილაძე

დასახელებულებს გადაეცათ სიგელები და საჩუქრები.

უნაკლო მომსახურების გაწევისთვის, ბუსსს ანრის ადმინისტრაციამ მადლობის სიგელები გადასცა მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელს მონიკა დიასამიძეს და პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილების საქმისმწარმოებელს თამარა დარჩიძეს.

7.11 2025 წლის განმავლობაში სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში რე-აღიარებისთვის (აღიარების სერტიფიკატის ვადის გასვლასთნა დაკავშირებით საწვრთნელი პროგრამის ხელახლა გაგზავნა აღირების მოსაპოვებლად) წარდგენილი და აღიარებულია წვრთნისა და სერტიფიცირებიც ცენტრის 12 საწვრთნელი კურსის პროგრამა, მათ შორის „საზღვაო კულინარიის“ კურსის პროგრამა, რომელიც შეჩერებული იყო 2023 წლიდან. მეზღვაურებისა და დამსაქმებელი კომპანიებისგან მოთხოვნის არ არსებობის გამო, რე-აღირებისთვის არ წარედგინა მგზავრების უსაფრთხოების, ტვირთის უსაფრთხოებისა და გემის კორპუსის სიმტკიცის უზრუნვლეყოფა (მოდელ კურსი 1.29) და სამგზავრო გემზე არაორგანიზებული ხალხის მასების მართვა (მოდელ კურსი 1.44) საწვრთნელი კურსების პროგრამები.

7.12 2024 წლის 10 იანვრით დამტკიცებული ხმს შიდა შემოწმების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2025 წელს ჩატარდა ხარისხის მართვის სისტემის 2 შიდა შემოწმება/აუდიტი. შემოწმებების შედეგები დეტაულად აღწერილია წინამდებარე ანალიზის მე-8 თავში.

7.13 2025 წლის 15 იანვარს დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის 2025 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად ჩატარდა ISO 9001:2015 ხარისხის სტანდარტის შესაბამისობაზე რესერტიფიკაცია; ახალი პროგრამების შემუშავების ფარგლბეში დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი და თვითშეფასება; მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში აღიარებული საწვრთნელი კურსების პროგრამების გადახედვა რე-აღირებაზე წარდგენის მიზნით და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

7.14 ბუსსს ანრის ნდ N 2-0201-05 „ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების, საქმეთა შემოწმების, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის და პსდ-ს თვითშეფასების პროცესების მართვის პროცედურა“-ის შესაბამისად, 2025 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმის და „შიდა მონიტორინგისა და ვერიფიკაციის ჯგუფების შექმნის შესახებ“ ბუსსს ანრის დირექტორის 2025 წლის 20 აგვისტოს №08-67/25 ბრძანების საფუძველზე, ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. ვრცლად აღწერა იხ.წინამდებარე ანალიზის მე-8 თავში.

7.15 2025 წელს განხორციელდა შემდეგი გარე შემოწმებები:

- ✓ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ჩატარდა 2 გეგმიური მონიტორინგი:
  1) მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის გეგმიური აუდიტი/მონიტორინგი 2025 წლის 24 მარტს და
  2) პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულების მონიტორინგი 2025 წლის 22 დეკემბერს.
- ✓ 2025 წლის 19 მარტს სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“–ს წარმომადგენლობის საქართველოში შპს "ჯი-ერ სერთ"-ის აუდიტორების მიერ ჩატარდა აუდიტი ISO 9001:2015 ხარისხის სტანდარტის შესაბამისობაზე;
- ✓ 2025 წელს შპს „შენი უსაფრთხო მომავალი“–ს მიერ ჩატარდა ბუსსს ანრის შენობაში ფიზიკური ფაქტორების გაზომვა: თბილი სეზონზე: 26.09.2025 და ცივ სეზონზე 29.01.2025.

ყველა გარე შემოწმება/აუდიტი/მონიტორინგი სასწავლებელმა გაიარა მნიშნველოვანი ხარვეზის/შეუსაბამობის/დარღვევის გარეშე. გამოვლენილი რეკომენდაციები/შენიშვნები/დაკვირვებები აღმოფხვრილია მაკორექტირებელი გეგმების შესაბამისად. ვრცლად აღწერა იხ.წინამდებარე ანალიზის მე-9, მე-10, მე-11თავებში.

7.16 პროფორიენტაციის ფარგლებში წლის განმავლობაში ბუსსს ანრიში მოეწყო ღია კარის დღეები და სკოლებში გასვლები.

7.17 ბუსსს ანრის სასწავლო-საწვრთნელი გემი ჩართული იყო 2025 წლის ნოემბერში უწყებათშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში - „დიდგორი 2025-ის“, რომელშიც საზღვაო კომპონენტად შევიდა საველე - საზღვაო წვრთნები - GEO SAR & OSR EX 2025.

7.18 განვითარების სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზები

7.18.1 განვითარების სტრატეგიული გეგმის ანალიზი

ბუსსს ანრის შიდა ნდ ნდ 2-010107-ის თანახმად სტრატეგიული გეგმის შუალედური გადახედვა უნდა განხორციელდეს 4 წელიწადში ერთხელ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (იხ. ნდ 2-010107–ის დანართი 2), აქედან გამომდინარე ბუსსს ანრის დირექტორის 2024 წლის 28 ოქტომბრის N08-108/24 ბრძანების („ბუსსს ანრის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის შესახებ“) საფუძველზე განხორციელდა 2021 წლის 16 ივნისს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის (რომელიც მოიცავს **შვიდ სტრატეგიულ მიზანს** და ამ მიზნების მისაღწევად 15 სტრატეგიულ ამოცანას) შუალედური მონიტორინგი და დადგენილია, რომ გეგმა შესრულებული იყო 96%.
სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მზინით ყოველწლიურად იგეგმება განხორციელების მექანიზმები - სამოქმედო გეგმა.

7.18.2 2025 წლის (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი

შვიდი სტრატეგიული მიზანის განსახორციელებლად ყოველწლიურად, 1 წლიანი სამოქმედო გეგმით განისაზღვრება ამოცანები და განხორცილებეის მექანიზმები.
2025 წლის 15 იანვარს დამტკიცდა წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა 46 ამოცანას (განხორციელების მექანიზმს):

შესრულების სტატუსის მარკირების განმარტება:

შესრულების სტატუსი: ამოცანა შესრულებულია
შესრულების სტატუსი: მეტწილად შესრულებულია
შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებულია
შესრულების სტატუსი: არაა შესრულებული

მიზანი 1

ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის განვითარება

ამოცანა 1: საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება

შესრულების სტატუსი: 2025 წლის 15 იანვრით დამტკიცებული „საშტატი პერსონალის, საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორების პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისთვის ტექნიკური სწავლებების, საინფორმაციო შეხვედრების გეგმის“ თანახმად დადგენილი პერიოდულობით მიმდინარეობს შეხვედრები. მტკიცებულება ჟურნალი 09-101, ფოტოები სასწავლებლის ვებგვერდზე და ფეისბუქზე.

ამოცანა 2: პროფესიული სტუდენტებისათვის ღია ლექციების, პრეზენტაციების, ტრენინგების, მასტერკლასების ორგანიზება/ჩატარება(შიდა და გარე რესურსის გამოყენებით)

შესრულების სტატუსი: პროფესიული განათლების მასწავლებლების ღია ლექციების გეგმა–გრაფიკი (2025 წლის 10 იანვრით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებლების ღია გაკვეთილების გეგმა–გრაფიკით დაგეგმილი 12 ღია გაკვეთილიდან ჩატარდა 12-ვე);
2023-2025 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2023 წლის 06 ნოემბერს); 2024-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის და შემოდგომის მიღების პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2024 წლის 05 სექტემბერს); 2025-2027 სასწავლო წლის გაზაფხულის და შემოდგომის მიღების პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2025 წლის 20 ნოემბერს) - დაგეგმილი ღონისძიებები/აქტივობები სრულდება გეგმების შესაბამისად.
2025 წლის 31 ოქტომბერს (ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტებისთვის (ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე) გაიმართა ტრენინგი თემაზე: „სამსახურეობრივი სტრესი“.https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=763
მტკიცებულება: გეგმა-გრაფიკები, ღია ლექციების შეფასების კითხვარები, ტრენინგის დასაგეგმად, პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი, მომსახურების ხელშეკრულება ტრენინგის ჩასატარებლად; ფოტო მასალა სასწავლებლის ვებ-გვერდზე და სოც.ქსელი ფეისბუქის გვერდზე.

ამოცანა 3: პროფესიული განთლების მასწავლებლების ურთიერთდასწრება

შესრულების სტატუსი: 2025 წლის 10 იანვრით დამტკიცებული დამტკიცებული „პროფეისული განთლების მასწავლებლების 2025-2027 ს/წ ურთიერთდასწრებს გეგმის“ შესაბამისად დადგენილი პერიოდულობით მიმდინარეობს პროფეისული განთლების მასწავლებლების ურთიერთდასწრება, რასაც ადასტურებს აქტები, რომელბიც ინახება №15-

200 საქმეში „პროფესიული განათლების მასწავლებელთა სასწავლო/მეთოდური შემოწმების მასალა"; პროფესიული განათლების მასწავლებელთა სასწავლო/მეთოდური შემოწმების აქტების რეგისტრაციის ჟურნალი №15-201. 2025 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სულ 29 ურთიერთდასწრება, დანარჩენი დაგეგმილი მომავალ წელს.

ამოცანა 4: საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორების ურთიერთდასწრება

შესრულების სტატუსი: 2025 წლის 15 იანვარს დამტკიცებული „საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორების ურთიერთდასწრებს გეგმების" შესაბამისად დადგენილი პერიოდულობით მიმდინარეობს პროფეისული განთლების მასწავლებლების ურთიერთდასწრება რასაც ადასტურებს აქტები საქმე №11-24; წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის პედაგოგეგების სასწავლო მეთოდური მუშაობის შემოწმების აქტების რეგისტარციის ჟურნალი № 11-85.

ამოცანა 5: სასწავლო პროცესის, მათ შორის პრატქიკული ნაწილის პერიოდული შემოწმება

შესრულების სტატუსი: მიმდინარეობს სასწავლო პროცესის, მათ შორის პრაქტიკის ობიექტის პერიოდული მონიტორინგი, რაც აღირიცხება N 15-98 ჟურნალში.

ამოცანა 6: პერსონალის (მათ შორის საშტატო პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ინსტრუქტორები, მოწვეული პერსონალი) პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების, ვორქშოპების, მასტერკლასების ორგანიზება

შესრულების სტატუსი: 2025 წელს პერსონალის (მათ შორის საშტატო თანამშრომლები, პროფეისული განათლების მასწავლებლები, საწვრთელი კურსების ინსტრუქტორები) პროფესიული განვითარების გეგმით (დამტკიცებული 2025 წლის 15 იანვარს) დაგეგმილი იყო, პერსონალის კომპეტენციიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სავალდებულო და/ან საჭირო ტრენინგები, აქედან გამომდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- ✓ პიროვნული განვითარება
- ✓ საქმისწარმოება და სტრატეგიული კომუნიკაცია
- ✓ მასტერ ტრენერის ტრენინგი
- ✓ ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, მოთხოვნები,ძირითადი ცვლილებები
- ✓ შრომის სამართლის აქტუალური საკითხები და სასამართლო პრაქტიკა
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარება კოლეჯებისათვის.

ზემოაღნიშნული 6-ვე ტრენინგი იყო დაფინანსებული ბუსსს ანრის მიერ.
წლის განმავლობაში პერსონალი, ასევე, ესწრებოდა სხვადსხვა ორგანოების/დაწესებულებების/ორგანიზაციების და ა.შ. მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა

საინფორმაციო, სამუშაო შევხვედრებს, ვორქშოპებს, პრეზენტაციებს, როგორც ონლაინ რეჟიმში, ასევე ადგილზ ედასწრებით.

2025 წლის 15 იანვრით დამტკიცებული საშტატი პერსონალის, საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისთვის ტექნიკური სწავლებების, საინფორმაციო შეხვედრების 2025 წლის გეგმა-გრაფიკი.
მტკიცებულებები: გეგმები, გეგმების შესრულების ანალიზები, ტრენინგების სერტიფიკატები, ხელშეკრულებები ტრენინგის ჩატარების შესახებ, ჟურნალი №09-101, ფოტო-ვიდეო მასალ სასწავლებლის ვებ გვრედსა და სოც ქსელში.

ამოცანა 7: სასწავლო პროცესი წარმართვა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით

შესრულების სტატუსი: პროფესიული მასწავლებლების მიერ გაერთიანებული გაკევთილების განხორციელება; სასწავლო პროცესში სიმულატორების გამოყენება; ვიდეო მასალების გამოყენება, ინტერაქტიულ გარემოსი გაკვეთილების განხორიცელება; პრეზენტაციების წარმოდგენა და სხვ.
მტკიცებულება: ფოტო-ვიდეო მასალ სასწავლებლის ვებ გვრედსა და სოც ქსელში

ამოცანა 8: მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში კომპიუტერული სასწავლო პროგრამების და საგამოცდო ტესტების პერიოდული შემოწმება, საჭირეობისამებრ განახლება

შესრულების სტატუსი: მტკიცებულებები: 12 საწვრთელი კურსის აღიარების სერტიფიკატი; საწვრთნელი კურსების პროგრამები; სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაციის და პერიოდული გადახედვის აქტები (ინახება №11-205 საქმეში) და მათი აღრიცხვის რეგისტრაციის ჟურნალი № 11-202.

მიზანი 2

განათლების და წვრთნის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა 1: ხმს შიდა შემოწმების ჩატარება

შესრულების სტატუსი: 2024 წლის 10 იანვრით დამტკიცებული შიდა შემოწმების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2025 წელს ცატარდა 2 დაგეგმილი შიდა შემოწმება;
მტკიცებულებები:

1) 17.02-21.02.20252024 - ბუსსს ანრის დირექტორის 2025 წლის 10 თებერვლის № 08-05/54 ბრძანება; შემოწმების პროგრამა, შეუსაბამობის აქტები № 025/01, № 025/02, № 025/03; შემოწმების ანგარიში.
2) 18.08.-22.08.2025 - ბუსსს ანრის დირექტორის 2025 წლის 11 აგვისტოს № 08-62/25 ბრძანება; შემოწმების პროგრამა, შეუსაბამობის აქტები № 025/04, № 025/05; საქმეების შემოწმების აქტები; შემოწმების ანგარიში.

ამოცანა 2: სასერტიფიკაციო ასოციაციის შპს "რრ-ვესტჯორჯიას" ექპერტების მოწვევა ხმს ISO 9001:2015 შესაბამისობაზე რესერტიფიკაციის მიზნით

შესრულების სტატუსი: მტკიცებულება: 2025 წლის 19 მარტს სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი"–ს წარმომადგენლობის საქართველოში შპს "ჯი-ერ სერთ"-ის აუდიტორების მიერ ISO 9001:2015 ხარისხის სტანდარტის შესაბამისობაზე, რესერტიფიკაციის მიზნით, ჩატარებული აუდიტის აქტები და 08.04.2025 დამტკიცებული გამოვლენილი შეუსაბამობის და დაკვირვებების მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმა.

ამოცანა 3: შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

შესრულების სტატუსი: მტკიცებულება: ბუსსს ანრის დირექტორის 2025 წლის 20 აგვისტოს №08-67/25 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 20 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;დასკვნა 22.09.2025.

ამოცანა 4: პსდ-ს თვითშეფასება

შესრულების სტატუსი: მტკიცებულებები: ბუსსს ანრის დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის ბრძანება № 08-28/25 ახალი სტანდარტების შესაბამისად „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია/Ship Deck Operation" და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია/Ship Engine Room Operation" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის განსაზღვრის და პსდ-ს ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით თვითშეფასების განხორციელების შესახებ.
ბუსსს ანრის დირექტორის 2025 წლის 08 სექტემბრის ბრძანება № 15-75/25 ახალი სტანდარტების შესაბამისად „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია/Ship Deck Operation" და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია/Ship Engine Room Operation" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ. სამუშაო ჯგუფის დასკვნა. ავტორიზაციის მოპოვების მიზნით სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განცხადების წარდგენა, წერილი №0845-12.12.2025

ამოცანა 5, ამოცანა 6, ამოცანა 7, ამოცანა 9, ამოცანა 10: შიდა კვლევების ჩატარება. რეკომენდაციების გათვალისწინების (საჭიროების შემთხვევაში) მიზნით შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა, ხარისხის გაუმჯობესების გეგმის შემუშავება

შესრულების სტატუსი: 2025 წლის 15 იანვრით დამტკიცებული სისტემური კვლევების დროის ჩარჩოს შესაბამისად ჩატარდა ყველა კვლევა, მტკიცებულება: ყველა კვლევის ანალიზი. გამოკითხვები ჩატარდა ელექტრონულად და ინტეგრირებული იყო „google form“ ფლატფორმაზე.

ამოცანა 8: მატერიალურ-ტექნიკური რესურსების პერიოდული შემოწმება

შესრულების სტატუსი: 2025 წლის ინვენტარიზაცია - ბუსსს ანრის დირექტორის 2025 წლის 08 დეკემბრის ბრძანება № 04-104/25.

მიზანი 3

პროფესიული სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს განვითარება და მათი უფლებების დაცვა

ამოცანა 1: პროფესიული სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება: საკონსულტაციო მომსახურება

შესრულების სტატუსი: საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან - ფოტო/ვიდეო მტკიცებულება სასწავლებლის ვებ გვერდსა და სოც.ქსელში.
ვებგვერდზე პროფესიული სტიდეტებისთვის გამოყოფილი სივრცე: https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=page&id=39 ; https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=page&id=38

ამოცანა 2: პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა; დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგად უნარ-ჩვევების განვითარებაში მხარდაჭერა

შესრულების სტატუსი: დამსაქმებელების,მოქმედი მეზღვაურების შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან - ფოტო/ვიდეო მტკიცებულება სასწავლებლის ვებ გვერდსა და სოც.ქსელში.
04.07.2025 შეხვედრა დარგის სპეციალისტთან:
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=699
21.11.2025 შეხვედრა მოქმედ კაპიტანთან
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=768
12.12.2025 შეხვედრა მოქმედ თანაშემწესთან
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=785
25.12.2024 შეხვედრა ფსიგოლოგთან

https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=540
17.06.2025 შეხვედრა კინო - რეჟისორთან
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=706

ამოცანა 3: პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული და პიროვნული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების/კურსების/პროგრამების/საჯარო ლექციების ორგანიზება და სხვა მოთხოვნადი ღონისძიებების ორგანიზება; კვლევის ჩატარება პროფეისული სტუდენტების პრიორიტეტების დასადგენად.

შესრულების სტატუსი: 2023-2025 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2023 წლის 06 ნოემბერს); 2024-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის და შემოდგომის მიღების პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2024 წლის 05 სექტემბერს); 2025-2027 სასწავლო წლის გაზაფხულის და შემოდგომის მიღების პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2025 წლის 20 ნოემბერს).
2025 წლის 31 ოქტომბერს (ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტებისთვის (ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე) გაიმართა ტრენინგი თემაზე: „სამსახურეობრივი სტრესი“.https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=763
მტკიცებულება: გეგმა-გრაფიკები, ღია ლექციების შეფასების კითხვარები, ტრენინგის დასაგეგმად, პროფესიული სტუდენეტბის გამოკითხვის ანალიზი, მომსახურების ხელშეკრულება ტრენინგის ჩასატარებლად; ფოტო მასალა სასწავლებლის ვებ-გვერდზე და სოც.ქსელი ფეისბუქის გვერდზე.
მათ შორის ჩატარებული ღონისძიებები:
31.10.2025 ტრენინგი
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=763
31.01.2025
შეხვედრა პროფესიული თვითმართველობებს შორის ახალი და ძველი. ასევე ჯგუფხელებთან და კურსდამთავრებულებთან
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=557
01.10.2025 შეხვედრა თვითმართველებს ჯგუფხელებს და ახალ ნაკადს შორის https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=745
პროფესიული სტუდენტის კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევა

ამოცანა 4: პროფესიული სტუდენტებისთვის გასართობი (ექსკურსია, სპორტული და საზრიანი თამაშები და სხვ.) და შემეცნებით (კონფერენცია, გამოფენა და სხვ.) ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა

შესრულების სტატუსი: 2023-2025 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2023 წლის 06 ნოემბერს); 2024-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის და შემოდგომის მიღების პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2024

წლის 05 სექტემბერს); 2025-2027 სასწავლო წლის გაზაფხულის და შემოდგომის მიღების პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა (დამტკიცებული 2025 წლის 20 ნოემბერს); ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ექსკურსიის დაგეგმვის მიზნით;
16.09.2025 ექვსკურსია მწვანე ტბა
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=727
26.03.2025 შიდა შეჯიბრი ფეხბურთში https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=612
კონოჩვენება 01.11.2024 -https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=516
17.10.2025 https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=748
05.12.2025 - კინოჩვენება https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=783

ამოცანა 5: პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

შესრულების სტატუსი: პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი ნდ № 2-0401-01; საორიენტაციო და საინფორმაციო, გაცნობითი შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან.

ამოცანა 6: პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება

შესრულების სტატუსი: 12.02.2025 სისხლის უანგარო დონაცია: https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=579
11.06.2025 გასვლითი შეჯიბრი ფეხბურთში https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=681
2025 წლის ბუსსს ანრის საუკეთესო პროფესიული სტუდენტი
25.12.2025 საახალწლო ღონისძიება, საუკეთესო პროფესიული სტუდენტის გამოვლენა და დაჯილდოება https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=789

ამოცანა 7: პროგრამების კატალოგის გადახედვა/განახლება

შესრულების სტატუსი: ვერსია №2 დამტკიცებულია 2024 წლის 05 ოქტომბერს, პერიოდული გადახედვა შესრულებულია 2025 წლის 19 სექტემბერს. ვერსია №3 დამტკიცებულია 2026 წლის 12 იანვარს

ამოცანა 8: დასაქმებისა და კარიერული ხელშეწყობის სოციალური გვერდის მართვა/ ადმინისტრირება

შესრულების სტატუსი: საკრუინგო კომპანიების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების გაზიარება სასწავლებლის ვებგვერდისა და სოც ქსელის მეშვეობით:
13.08.2025 https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=714

20.08.2025 https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=717
03.09.2025 https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=723
08.09.2025 https://www.facebook.com/share/p/17N2gj7w3S/
08.09.2025 https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=723
09.10.2025 https://www.facebook.com/share/p/19wKbjdSxf/
და სხვა ვაკანსიები განთავსებულია სასწავლებლსი ფეისბუქ და ვებ გვერდებზე
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=page&id=30

მიზანი 4

ორგანიზაციული განვითარება

ამოცანა 1: ბუსსს ანრის პერსონალის საერთო მიზნებით დაკავშირებულ გუნდად გადაქცევის და პრობლემის გადაჭრის ფარგლებში გუნდის ურთიერთქმედების გამართვის მიზნით ე.წ. თიმბილდინგების ორგანიზება

შესრულების სტატუსი: თიმბილდინგების ორგანიზების მიზნით, პერსონალის სურვილის გასათვალისიწნებლად 2025 წლის 04 ივლისიდან 04 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა გამოკითხვა. ანალიზი 11.08.2025.

ამოცანა 2: სამუშაო პროცესების მიმდინრეობის / შესრულების (6 თვის და 1 წლის) ანგარიშგება და გეგმების შესრულების მონიტორინგი (6 თვეში ერთელ)

შესრულების სტატუსი: 6 თვსი ანგარიში 21.07.2025. ერთი წლის ანგარიში წარმოდგენილია 2025 წლის ხმს ანალიზის სახით.

ამოცანა 3: ცნობადობის გაზრდა: პიარ კამპანიების გაძლიერება (სარეკლამო რგოლები, სარეკლამო ბროშურების დამზადება და გავრცელება და სხვ.) სარეკლამო ვიდეო რგოლის დამზადება; სხვადასხვა ნაციონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრობის უზრუნველყოფა; საშუალო სკოლებში მოსწავლეებისათვის კოლეჯის პრეზენტაციების მოწყობა; მიმდინარე ღონისძიებების საინფორმაციო უზრუნველყოფა; "ღია კარის" დღეების ორგანიზება.სერვისების განახლება.

შესრულების სტატუსი: 13.02.2025 ღია კარის დღე ქედის სკოლაში https://mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=576
19.02.2025 ღია კარის დღე ქობულეთის სკოლაში https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=583

20.02.2025 ღია კარის დღე ქობულეთის ჭახათის სკოლაშიhttps://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=584
02.04.2025 აჭარის მუზეუმის სტუმრობა https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=620
15.04.2025 პრეზენტაცია ხულოს სკოლაში https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=633
სასწავლებელმა უმასპინძლა ახოს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს და პერსონალს https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=786

ამოცანა 4: ინტერნაციონალიზაციის გააქტიურება; არსებული საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურება და ახალი პარტნიორების მოძიება, მოზიდვა; სხვა ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება

შესრულების სტატუსი: 2025 წლის დეკემბრიდან ბუსსს ანრი გაწევრიანდა „European Forum of Technicaland Vocational Education and Training"/ ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ევროპული ფორუმში.
31.07.2025 (GEOREF) პროექტის სამუსაო ჯგუფის შეხვედრა https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=711
26.11.2025 ვებინარი Erasmus+ პროგრამასთან https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=778
28.11.2025 ვებინარი Erasmus+ პროგრამასთან დაკავშირებით https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=781

ამოცანა 5: პერსონალის სამუშაო სივრცეები მოწყობა „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის № 341დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

შესრულების სტატუსი: „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის № 341დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად თანამშრომლები, რომლებიც სამუშაო დღის უმეტესს ნაწილს ატარებენ კომპიუტერებთან, უზრუნველყოფილნი არიან ფეხის დასადებით. ამავე დადგენილების შესაბამისად ყველა სართულზე, კიბეების საფეხურებზე გაკრულია ფეხის ასლიარების საწინააღმდეგო ლენტი და შეძენილია ნიშანი: „იატაკი სველია".
სამუშაო სივრცეებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები: მომსახურების ხელშეკრულება № 004/25 – 02.04.2025; მომსახურების ხელშეკრულება №012/25 – 01.09.2025

ამოცანა 6: ოფიციალური ვებ-გვერდის /სოციალურ ქსელში არსებული გვერდის მუდმივად განახლება

შესრულების სტატუსი: მომსახურების ხელშეკრულება № 019/25 – 27.11.2025 განახლდა ვებ-გვერდი.

ამოცანა 7: საბიბლიოთეკო ფონდის გაახლება და გამდიდრება /საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესება, საგანმანათლებლო რესურების ვებ-გვერდზე განთავსება

შესრულების სტატუსი: ვებ-გვერდზე ახალ ქვეგანყოფილებაზე „ელექტრონული სასწავლო რესურსები“ ეტაპობრივად ემატება ელ.სასწავლო მასალები.აღნიშნული ქვე-განყოფილება დაცულია პაროლით.https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=page&id=28
ხდება აგრეთვე IMO-ს გამომცემლობების კატალოგების გადახედვა,პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების ჩართულობით პროგრამების გადახედვა და ვადგენთ გასაახლებელი სასწავლო ლიტერატურის სიას ,რის შემდეგაც ხდება წიგნების შეძენა და საბიბლიოთეკო ფონდის განახლება.
გვაქვს წვდომა IMO Bookshelf-თან და IMO Virtual Publication-თან,სადაც ჩატვირთულია გამოწერილი მოდელ-კურსები.https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=page&id=24
https://www.witherbyconnect.com/imo; https://vp.imo.org/index.html ასევე სასწავლებელს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) უახლეს (მოდელ კურსები,საერთაშორისო საზღვაო კონვენციები) ელექტრონულ გამომცემლობების IMO-Epublications პორტალზე მომხმარებლის სტატუსი აქვს. https://imo-epublications.org/
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მასწავლებლების შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო ახალ სტანდარტებთან ლიტერატურის შესაბამისობის გადამოწმების მიზნით.
https://www.facebook.com/share/p/1726pNiCQ1/
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=736

ამოცანა 8: შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი ინსტრუქტაჟების ჩატარება ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტებისათვის

შესრულების სტატუსი: შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი ინსტრუქტაჟები ჩატარებულია გეგმიურად.

ამოცანა 9: კორპორატიული კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა/აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება

შესრულების სტატუსი: ბუსსს ანრიში გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია.

დონაციაში მონაწილეობა მიიღეს პროფესიულმა სტუდენტებმა.https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=579; https://www.facebook.com/share/p/18HaJBUxBb/
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით საქართველოში სისხლის დონორთა რაოდენობა საჭიროზე ნაკლებია, დღევანდელი დღის ორგანიზებით კი ჩვენ წვლილი მივიღეთ ამ პრობლემის აღმოფხვრაში.
ღონისძიების მიზანს საქართველოში უანგარო დონაციის იდეის პოპულარიზაცია და სისხლის ყველა ჯგუფისა და რეზუსის კომპონენტის საჭირო მარაგის შენარჩუნება წარმოადგენდა.
ა/წ 8 ოქტომბერს ბუსსს ანრიში გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია.
დონაციაში მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის თანამშრომლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა.
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით საქართველოში სისხლის დონორთა რაოდენობა საჭიროზე ნაკლებია, დღევანდელი დღის ორგანიზებით კი ჩვენ წვლილი შევიტანეთ ამ პრობლემის აღმოფხვრაში.
ღონისძიების მიზანს საქართველოში უანგარო დონაციის იდეის პოპულარიზაცია და სისხლის ყველა ჯგუფისა და რეზუსის კომპონენტის საჭირო მარაგის შენარჩუნება წარმოადგენდა.
https://www.facebook.com/share/p/1DP3GpXWVV/
https://www.facebook.com/share/r/1AmmzrCKBF/
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=746
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, სასწავლებლის „ეკიპაჟმა“ მონაწილეობა მიიღო „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიაში და უმასპინძლა საქველმოქმედო ღონისძიებას.
ღონისძიების ფარგლებში, ბათუმის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მამოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, ონკოქირურგმა და საქველმოქმედო ფონდი LiFE Life Foundation - ფონდი სიცოცხლე -ის დამფუძნებელმა თემურ გოგიტიძემ DocTemur Gogitidze დამსწრე საზოგადოებას გააცნო კამპანიის მნიშვნელობა და მიზნები.
„ვარდისფერი ოქტომბერი“ ემსახურება ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ადრეული სკრინინგის პოპულარიზაციას — რაც პრევენციის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.
ბუსსს ანრი აქტიურად ერთვება სხვადასხვა საქველმოქმედო ინიციატივაში, რადგან გვჯერა — პატარა სიკეთესაც კი შეუძლია დიდი ცვლილება შეიტანოს ადამიანის ცხოვრებაში.
https://www.facebook.com/share/p/1HxVwAifS8/; https://www.facebook.com/share/r/1Fz4Py4wZa/
https://www.facebook.com/share/p/19vdopqFwQ/;
https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=761

მიზანი 5

პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით

ამოცანა 1: კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოხმაურების საფუძველზე ხარისხის გაუმჯობესებსი გეგმის შემუშავება

შესრულების სტატუსი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და დასაქმების გამოკითხვა ჩატარდა 2025 წლის 27 ოქტომბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით, ანალიზი 30.11.2025.

მიზანი 6

პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის გაუმჯობესება

ამოცანა 1: ახალი დამსაქმებელების მოძიება და თანამშრომლობის დამყარება

შესრულების სტატუსი: ხელშეკრულებები საკრუინგოებთან: №020/25 - 27.11.2025 კომპანია "BCM"; №021/25 – 15.12.2025 კომპანია "Karinamarine"

ამოცანა 2: პროფესიული სტუდენტების და დამსაქმებლების შეხვედრების ორგანიზება

შესრულების სტატუსი: დასაქმებაში ხელის შეწყობის მიზნით ა/წ 27 ივნისს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობამ ორგანიზება გაუწია პროფესიული სტუდენტების შეხვედრას დამსაქმებლებთან.https://www.facebook.com/share/p/1B1xdDt8vv/; https://www.mtc-anri.edu.ge/?lang=ge&do=news&id=683

მიზანი 7

მეზღვაურთა საწვრთნელი ინფრასტრუქტურის განახლება–განვითარება

ამოცანა 1: არსებული ტრენაჟორული, სტენდური და კომპიუტერული ტექნიკის, დანადგარების პერიოდული შემოწმება, საჭირეობისამებრ განახლება

შესრულების სტატუსი: 2025 წლის 15 იანვრით დამტკიცებული გეგმები:

მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ინტერნაციონალიზცია არ წარმოადგენს სავალდებულო და საჭირო კომპონეტს, ბუსსს ანრი ისახავს მიზანად ინტერნაციონალიზააცის განვითარებას. სასწავლებელი ესწრება ERASMUS-ის ფარგლებში სხვადასხვა შეხვედრებს (https://www.facebook.com/BHMESANRI/posts/pfbid02rjarQrwc5aK2rP8J9fX7u4YPw4ZbTqsXHafuqfXJnsWcsQ9JkMgWxX77EmrJ3XE1l?rdid=gFWI0EpNTc5geQMA#; https://www.facebook.com/BHMESANRI/posts/pfbid02DhCjsyo9C82Nx8816dbRHngPQcPakj4ZLL2GVy4dBzWDa52b2fsLFwyz5SEzL3s4l?rdid=NHnFUi1Fh7q3xj0A# და სხვ.).

❖ პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება

პროფესიული სტუდენტები სავალდებულო პრაქტიკას გადიან ბუსსს ანრის კუთვნილ სასწავლო-საწვრთნელ გემზე „კაპიტანი ო.ჩახვაძე“. პრაქტიკის უზრუნველყოფის ალტერნატიულ ობიექტად გათვალისწინებულია შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის გემები (2025 წლის 09 დეკემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 178-07-09/29025, 10 წლის ვადით), თუმცა ჯერ არ გამოგვიყენებია, რადგან ჩვენი გემი სავსებით იტევს კოლეჯის კვოტით გათალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

2025 წელს საზღვაო პრაქტიკა, პროგრამის შესაბამისად, გაიარა 2023 წლის ნაკადმა და 2024 წლის გაზაფხულის ნაკადმა.
2026 წლის 12 იანვრის მდგომარეობით საზღვაო პრაქტიკას ბუსსს ანრის კუთვნილ სასწავლო-საწვრთნელ გემზე ,,კაპიტანი ო.ჩახვაძე“–ზე გადის 2024 წლის საშემოდგომა ნაკადის პროფესიული სტუდენტები: ,,სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ 22 პროფესიული სტუდენტი და ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ 31 პროფესიული სტუდენტი, რომელთა საკვალიფიკაციო გამოცდა დაგეგმილია 2026 წლის მარტის თვეში.

პროფესიულ სტუდენტთა კარიეული განვითარების მხარდაჭერის მიზნით სასწავლებელს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები დამსაქმებელ კომპანიებთან, რომელთა წარმომადგენლებს პერიოდულად ვიწვევთ პროფესიულ სტუდემტებთან გასაუბრებისთვის.

2025 წლის 19 დეკემბერს ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის ახალი დელეგატების, პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები.
არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრის პრინციპით, მშვიდ და მიუკერძოებელ გარემოში, დარღვევები არ დაფიქსირებულა.
პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობა არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული.

ყოველი ნაკადის პროფესიული სტუდენტებისთვის იგეგმება სხვადსხვა აქტივობები, შესაბამისი გეგმ(ებ)ის დამტკიცებით.

2026 წლის 12 იანვრის მდგომარეობით დამტკიცებულია შემდეგი გეგემები:

1) 2022 წლის 30 ნოემბრით დამტკიცებულია 2022-2024 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა, რომელიც ამ დროისტვის შესრულებულია 90 %ით;

2) 2023 წლის 06 ნოემბრით დამტკიცებულია 2023-2025 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა, რომელიც ამ დროისთვის შესრულებულია 65 %, ვინაიდან 2025 წელს დაგეგმილი ღონისძიებები შესასრულებელია;
3) 2024 წლის 05 სექტემბრით დამტკიცებულია 2024-2026 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა, რომელიც ამ დროისტვის შესრულებულია 90 % - ით, ვინაიდან 2025-2026 წლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები შესასრულებელია.
4) 2025 წლის 20 ნოემბრით დამტკიცებულია 2025-2027 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმა, რომელიც ამ დროისტვის შესრულებულია 30 % - ით, ვინაიდან 2025-2027 წლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები შესასრულებელია.

პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება, ხარისიხს განვიტარებისა და უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ატარებს სხვადასხვა კვლევებს, მათ შორის: პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების და საჭიროების კვლევა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მოლოდინის კვლევა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამტავრებულების მიერ სწავლის დასაწყისში აღნიშნული მოლოდინის გამართლების კვლევა, პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და სხვა.

პროფესიული სტუდენტის პრიორიტეტები ითვალისწინება მათთვის ექსკურსიის და ტრენინგის დაგეგმვის დროს. ასეთ შემთხვევებშიც ტარდება პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა, Google Form ელეტროქნული პლატფორმის გამოყენებით.

პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება აკვირდება კურსდამტავრებულების განვითარებასაც. ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და დასაქმების კვლევა. კურსდამთთავრებულებს იწვევს პროფესიული სტუდენტების და დამსაქმებლების შეხვედრებზე. კურსდამთარებულების ნებართვით აშუქებს მათ პროფესიონალური განვითარების შესახებ ინფორმციას სასწავლებლის ვებგვერდსა და სოც.ქსელში.

პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებაში ხელისშეწყობის მიზნით, გარდა დამსაქმებლებთან სეხვედრებისა, სასწავლებელი ვებგვერდსა და სოც. ქსელში აზიარებს სხავდასხვა საკრუინგო კომპანიების მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებს.

❖ ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება

განყოფილების უფროსი ყოველწლიურად ანახლებს შრომის უსაფრთხოების გეგმას, რომლის თანახმად ტარდება ინსტრუქტაჟები.

უსაფრთხოების გეგმის შემუშავებაში ჩართულია ბუსსს ანრის დასაქმებულთა წარმომადგენელი, იურიდიული განყოფილების უფროსი, რომელიც არჩეულია ბუსსს ანრის თანამშრომლების მიერ (ოქმი №1-19.12.2023).

სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე დამონტაჟებულია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სავალდებულო დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის აქტუალიზაცია გათვალისწინებულია.

განყოფილების უფროსი ყოველ ახალ თანამშრომელს უტარებს შრომის უსაფრთხოების პირველად ინსტრუქტაჟს და ამის მტკიცებულებას წარმოადგენს ცნობა, რომელიც ინახება თანამშრომლის პირად საქმეში.

2022 წელს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (დამტკიცების თარიღი 06.05.2022). საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დასამტკიცებლად და მის სისრულეში მოყვანისთვის საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა საკადასტრო აგეგმვითი - აზომვითი ნახაზის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადება (დამტკიცების თარიღი 02.05.2022).

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი - ში ცეცხლის ჩაქრობის, ხალხის უსაფრთხო ადგილას ევაკუაციის და ქონების გადასარჩენად ყოველ სართულზე ინიშნებაა პასუხისმგებელი პირები ბუსსს ანრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

2025 წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტებს და თანამშრომლებს უტარდებოდა შრომის უსაფრთხოების გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის პირველადი და განმეორებითი ინსტრუქტაჟები.

2025 წელს მოხდა გარე პერიმეტრზე ვიდეო მონიტორინგის სისტემის განახლება და შეტანხმება 112-თან.

❖ იურიდიული განყოფილება

2025 წლის 03 იანვრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით იურიდიულ განყოფილებაში აღრიცხულია სხვადასხვა საგანის სულ 43 ხელშეკრულება/მემორანდუმი/შეთანხმება, აქედან ბუსსს ანრის მიერ რეგისტრირებულია 21 ხელშეკრულება.

2025 წლის 16 იანვრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით იურიდიულ განყოფილებაში აღრიცხულია 65 სხვადასხვა აქტი, აქედან 45 რეგისტრირებულია ბუსსს ანრის მიერ.

სასწავლებელში დანერგილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

❖ საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება

2025 წლის განმავლობაში:

1) განახლდა ვებგვერდის https://www.mtc-anri.edu.ge/ დიზაინი: მომსახურების ხელშეკრულება № 019/25 – 27.11.2025;
2) საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსმა, თავისი ძალებით, განაახლა ქსელის ინფრასტრუქტურა;
3) დაიწყო კავშირისა და უსაფრტხოების საზღვაო გლობალური სისტემის სიმულატორის განახლების პროცესი, როემლიც დასრულდება 2026 წლის პირველ ნახევარში;
4) დაწყებულია პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამებზე შეფასების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის პროცესები;
5) საჭიროებიდან გამომდინარე ხდებოდა ტექნიკის განახლება, მათ შორის პრინტერი, კომპიუტერის ეკრანი, კლავიატურა და.ა.შ.

❖ ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკაში დანერგილია ელექტრონული კატალოგის მართვის პროგრამა Evergreen, ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა OpenBiblio და EBSCO. ბიბლიოთეკის ფონდი, პროგრამები და ელ.სისტემები ხელმისაწვდომია ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების, წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავბლებლების, ინსტრუქტორების, საშტატო და მოწვეული თანამშრომლებისთვის. ბიბლიოთეკა პასუხობს საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. სისტემატურად ხდება ბიბლიოთეკის განახლება. ბუსსს ანრის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სასწავლო ტექნიკური ლიტერატურით: ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.

2025 წელს ბიბლიოთეკა გადატანილ იქნა ახალ სივრცეში (№301 სივრცე), რომელიც მოწყობილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

2025 განმავლობაში ბიბლიოთეკაში საჩუქრად გადმოეცა 40 ცალი ბეჭდური წიგნი,რომელიც დაემატა წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობას და შეძენილია 2 ცალი ელ.წიგნი,რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც ელ.გამომცემლობების IMO Epublications პორტალზე,ასევე ბიბლიოთეკაში აღრიცხულ CD დისკებზე.
აქვე განმარტებისთვის ასაღნიშნია,რომ ელექტრონული წიგნები წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობას არ ემატება,რადგან ბიბლიოთეკის წესით მუშავდება მხოლოდ ბეჭდური რესურსები.

აქედან გამომდინარე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 8813 ც. წიგნს:

1) ქართული ტექნიკური ლიტერატურა - 153 დასახელების - 2515 ც. წიგნი (2024 წელთან შედარებით -8 წიგნი, რომელიც გაიყიდა(საჩუქრად გადაეცა);+1ც.წიგნი (საჩუქრად გადმოგვეცა);
2) ქართული მხატვრული ლიტერატურა - 322 დასახელების - 357 ც. წიგნი (2024 წელთან შედარებით +34 ც.წიგნი (საჩუქრად გადმოგვეცა);
3) ქართული დარგობრივი ლიტერატურა - 95 დასახელების - 145 ც. წიგნი (2024 წელთან შედარებით +5ც.)(საჩუქრად გადმოგვეცა);
4) რუსული ტექნიკური ლიტერატურა - 1034 დასახელების - 2881 ც. წიგნი (უცვლელია)
5) რუსული მხატვრული ლიტერატურა - 1029 დასახელების - 1078 ც. წიგნი (უცვლელია)
6) რუსული დარგობრივი ლიტერატურა - 229 დასახელების - 246 ც. წიგნი (უცვლელია)
7) ინგლისური ლიტერატურა - 1167 დასახელების - 1592 ც. წიგნი (უცვლელია)

აგრეთვე ბიბლიოთეკაში აღრიცხულია: 733 ც. CD (+4 ც. 2024 წელთან შედარებით) და 49 ც. ვიდეო კასეტა, რომელთა რაოდენობა უცვლელია ბოლო წლების განმავ ლობაში, ვინაიდან ვიდეო კასეტები ჩაანაცვლა CD.

ბიბლიოთეკის ფონდის ბოლო 5 წლის მონაცემები:

2025 წელი - 8813 წიგნი (2024 წელთან შედარებით +32)
2024 წელი - 8781 წიგნი
2023 წელი – 8792 წიგნი
2022 წელი – 8737 წიგნი
2021 წელი– 8716 წიგნი

2025 წელს წიგნადი ფონდით ისარგებლა 172 პროფესიულმა სტუდენტმა და 50 თანამშრომელმა (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელმა, საშტატო თანამშრომელმა და ინსტრუქტორმა).

ბიბლიოთეკის ფონდის, მათ შორის IMO-ს გამომცემლობების, აქტუალიზაციის მიზნით, ხდება პერიოდული გადამოწმება სხვადასხვა წყაროების. ბუსსს ანრის IMO-ს გამომცემლობების დისტრიბუტორი ჰყავს თურქეთში IMO Piblication-ის აგენტი Tunamar Denizcilik. ვინაიდან სასწავლებლის ბიბლიოთეკა ყოველწლიურად სარგებლობს მათი მომსახურებით, Tunamar Denizcilik -ის შუამდგომლობით 2024 წლის იანვარში ბუსსს ანრის ბიბლიოთეკამ მოიპოვა წვდომა IMO Bookshell-თან და IMO Virtual Publication-თან, სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული მოდელ კურსები, რომლებიც გამოიწერა ბიბლიოთე კამ Tunamar Denizcilik-გან.
2024 წლის ნოემბერში წლის ნოემბერში სასწავლებელმა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) უახლესი ელექტრ

ონული გამომცემლობების (მოდელ კურსები, საერთაშორისო საზღვაო კონვენციები და სხვ.) IMO-Epublications პორტალზე მომხმარებლის სტატუსი მოიპოვა.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა და ბუსსს ანრის შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში, გაფორმდა ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი, რომლის თანახმადაც ბუსსს ანრისა და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების აბონენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ აღნიშნული ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ფონდებით.

წელიწადში ერთხელ ბიბლიოთეკაში ტარდება კვლევა/ გამოკითხვა ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების მიმართულ ებით. გამოკითვის შედეგები და ანალიზი ინახება ხარისიხს სამსახურში.
მაისში ბიბლიოთეკაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა პროფესიული სტუდენტებისათვის.პროფესიულ სტუდენტები გაეცნენ ბიბლიოთეკის სარგებლობის წესს,ელექტრონული კატალოგებს/პროგრამებს,საერთაშორისო ბაზებს,სასწავლებლის ვებ გვერდზე ხელმისაწვდომ ელექტრონულ სასწავლო რესურსებს და სხვა საბიბლიოთეკო სერვისებს.

2025 წლის ოქტომბრის თვეში ბიბლიოთეკა გადატანილია ახალ სივრცეში, სადაც მკითხველებისთვის შეიქმნა უფრო კომფორტული და თანამედროვე სამკითხველო გარემო.
9 დეკემბერს Innovative Systems Management (ISM)-ის ორგანიზებით თბილისში, "Rooms Hotel"-ში გაიმართა ყოველწლიური კონფერენცია „ბიბლიოთეკა 4.0: ცოდნის საცავები AI ეპოქაში“.
კონფერენციაში მონაწილეობდა ბუსსს ანრის ბიბლიოთეკის უფროსი ანა მუშამბაძე.
ღონისძიების ფარგლებში იქნა განხილული ბიბლიოთეკების მომავალი ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, როგორ იცვლება ცოდნის შექმნის, შენახვისა და გავრცელების მისია ეპოქაში, როცა AI-ზე დაფუძნებული სისტემები, დიდი მონაცემები და ციფრული ეკოსისტემები გარდაქმნიან ტრადიციული ბიბლიოთეკის ფუნქციებს.

სასწავლებლის ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის განყოფილებაში დანერგილ ახალი ქვეგანყოფილებაში: „ელ.სასწავლო მასალები“ დაემატა ელექტრონული სასწავლო რესურსები, რომლებიც დაცულია პაროლით.

❖ მცურავი საშუალებები (ს/გ „კაპ.ო. ჩახვაძე“, სამაშველო და სწრაფმავალი კატარღები)

ბუსსს ანრის მფლობელობაში არსებული სასწავლო-საწვრთნელ გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე" განკუთვნილი 54 პერსონაზე, აქედან 4 ეკიპაჟის წევრი.

2025 წელს გემზე ჩატარდა გაიარა შესაბამისი, ყოველწიური, შემოწმებები და განაახლა გემის სარეგისტრაციო მოწმობა.

გეგმიურად, ყოველ თვეში ტარდებოდა გემის მექანიზმებისა და დანადგარების შემოწმება. წლის განმავლობაში გემს ჩაუტარდა სხვადასხვა ტექ. და სარემონტო სამუშაოები, მათ შორის ზეთის და ზეთის ფილტრების შეცვლა, დიზელ გენერატორის ელექტრო ჩამკეტი (კლაპანი) შეცვლა/დამონტაჟება - მომსახურების ხელშეკრულება № 011/25 – 29.08.2025.

სასწავლო-საწვრთნელი გემი აკმაყოფილებს როგორც სარეგისტრაციო ასევე სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მოთხოვნებს დადგენილი კვოტის თანახმად.

❖ სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების განყოფილება

სასწავლებლის სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების განყოფილებაში ხორციელდებოდა საწარმოო პრაქტიკის მსვლელობა.
პრაქტიკული სწავლება (მუშაობა) მიმდინარეობდა პრაქტიკის განმახორციელებლების სრული ზედამხედველობით და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით. პროფესიული სტუდენტების ჩართულობით განხორციელდა მთავარი ძრავის დგუშების დემონტაჟი, ამოღება ცილინდრებიდან, მათი გაწმენდა-დასუფთავება. ცილინდრების კედლების დამუშავება, გასუფთავება და თავის ადგილზე მონტაჟი.

❖ შესყიდვებისა და სამეურნეო განყოფილება

2025 წლის სამოქმედო გეგმის მე-4 მიზანის მე-5 ამოაცნის ფარგლებში, „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის № 341დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად თანამშრომლები, რომლებიც სამუშაო დღის უმეტესს ნაწილს ატარებენ კომპიუტერებთან, უზრუნველყოფილნი არიან ფეხის დასადებით.
ამავე დადგენილების შესაბამისად ყველა სართულზე, კიბეების საფეხურებზე გაკრულია ფეხის ასლიარების საწინააღმდეგო ლენტი და შეძენილია ნიშანი: „იატაკი სველია“.
გენერატორის პერიოდული ტექ.დატვალიერება: მომსახურების ხელშეკრულება № 018/25 – 07.11.2025.
ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები სხვადასხვა სივრცეებში: მომსახურების ხელშეკრულება № 004/25 – 02.04.2025; მომსახურების ხელშეკრულება №012/25 – 01.09.2025 და სხვ.

❖ საფინასო განყოფილება

საფინანსო განყოფილების ამოცანები და ფუნქციები: ბუსსს ანრის საბიუჯეტო პროცესის რეგულირება (ბიუჯეტის პროექტის მომზადება და მის დასამტკიცებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, ასევე საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების სისტემატური ზედამხედველობა);
შპს ბუსსს ანრის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესის წარმართვა;
შესყიდვების ორგანიზება (შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება, კალენდარული წლის მანძილზე შესასყიდი საქონლის რაოდენობისა და მოცულობის განსაზღვრა) და შესყიდვების გეგმების შესრულების მონიტორინგი;
ძირითადი აქტივების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და ძირითადი კაპიტალ-დაბანდებების აღრიცხვის უზრუნველყოფა;
კომპეტენციის ფარგლებში, ბუსსს ანრის სახელით დასადები ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და ხელშეკრულებების პირობების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოება;

სახელშეკრულებო პირობების დარღვევის ყოველ ფაქტზე დამრღვევის მიმართ გასატარებელი ღონისძიებების (საჯარიმო სანქციები და სხვა) შესახებ წინადადების შემუშავება და გენერალური დირექტორისათვის წარდგენა;
საინვენტარიზაციო საქმიანობის ორგანიზება და წარმართვა;
საქართველოს კანონმდებლობით, წესდებთა და შინაგანაწესით შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის სამსახურებრივი დავალებების შესრულება.
საფინანსო განყოფილება ბიუჯეტის თანახმად აწარმოებდა შესასრულებელი ღონისძიებების დაფინანსებას.
საფინანსო განყოფილება აკონტროლებს ყოველწლიური აუდიტის ჩატარების პროცესს და მიღებული ინფორმაციის გაზიარებას კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2025 წლისთვის ბიუჯეტი დამტკიცდება 2025 წლის სენატის პირველივე სხდომაზე გატანის შემდეგ.

❖ არქივი

არქივის ძირითადი ამოცანებია: დოკუმენტების დაკომპლექტება; არქივში დაცული დოკუმენტების აღრიცხვა, დაცვის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში გამოყენება.
5 წელიწადში ერთელ სასწავლებელი იწვევს აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს საექსპერტო კომისიას ბუსსს ანრის დოკუმენტების შემდგომი შენახვის და/ან განადგურებისთვის შერჩევის და გამოყოფის მიზნით.
უკანასკნელი ასეთი მოწვევა იყო 2021 წელს (საარქივო სამმართველო, მომსახურების გაწევის ხელშეკრულება N 58, თარიღი: 19/11/2021), შემდეგი მოწვევა განხორციელდება 2026

წლისთვის. მომდევნო დაგეგმილია 2026 წლის პირველ ნახევარში.

❖ საერთო საცხოვრებელი

ბუსსს ანრის გათვალისიწნებული აქვს სხვა რეგიონებიდან, ქვეყნებიდან ჩამობრძანებულ სტუდენტთა და მოწვეულ სტუმართა განთავსება კეთილმოწყობილ ოთახებში.

2025 წელს საერთო საცხოვრებელში დაბინავებული იყო, უსასყიდლოდ ბუსსს ანრის პროფესიული კოლეჯის 2 სტუდენტი, რაც აღრიცხული შესაბამის წიგნში საერთო საცხოვრებელში შემომსვლელ პირთა აღრიცხვის წიგნი №23-220 (მფ–02-№179-08-21.03.16)

❖ სამედიცინო პუნქტი

სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფს ბუსსს ანრის თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების და ვიზიტორებისათვის პირველად სამედიცინო დახმარებას და სამედიცინო მომსახურებას; სასწავლებელში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.
2025 წლის მარტში სამედიცინო პუნქტში ცატარებულია ინვენტარიზაცია (საინვენტარიზაციო აქტი №011/2025 – 25.0.32025).

❖ პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობა

ფორმალურად სასწავლებლის სტუქტურის ნაწილი არ არის, მაგრამ სასწავლებლის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობა, რომელიც წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების ისეთ ერთობას, რომელიც, როგორც სასწავლებლის ყველა პროფესიული სტუდენტის მოსაზრებებისა და გამტარებელი და უფლებათა დამცველის ფორმალური სტრუქტურა, მონაწილეობას იღებენ სასწავლებლის მართვის პროცესში და ამავდროულად დამოუკიდებლად წარმართავს თავის საქმიანობას.
2025 წლის 19 დეკემბერს ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის
ახალი დელეგატების, პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები.
არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრის პრინციპით, მშვიდ და მიუკერძოებელ გარემოში, დარღვევები არ დაფიქსირებულა.

13. ყოველდღიურ მუშაობაში გამოვლენილი შეუსაბამობების მიხედვით ჩატარებული სამუშაოების ანალიზი

ყოველდღიურ მუშაობაში გამოვლენილი შეუსაბამობები ფორმდება სპეციალურ ჟურნალში საქმე N08-191. განსაზღვრავს ვადას შეუსაბამობის აღმოფხვრის შესახებ. 2025 წლის განმავლობაში შეუსაბამობა არაა რეგისტრირებული.

14. პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და პეროსნალისგან ბუსსს ანრიში შემოსული პრეტენზიების ანალიზი; გაწეული მომსახურების შეფასება, დახასიათება, რეკომენდაციები

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ნაკლოვანებების გამოსავლენად, შემდგომი გამოსწორების მიზნით, მომხმარებლების და დასაქმებულების კმაყოფილებისა და საჭიროების დადგენის მიზნით ხარისიხს სამსახური 2025 წლის 15 იანვრით დამტკიცებული სისტემური კვლევების დროის ჩარჩოს შესაბამისად გეგმიურად ატარებდა კვლევებს.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მსმნელების პრეტენზიების, რეკომენდაციების გათვალისწინებით ბუსსს ანრიში არსებობს სპეციალური ჟურნალი რომელშიც ნებისმიერ თანამშრომელს, სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს თუ მეზღვაურს შეუძლია წერილობითი სახით გამოთქვას თავისი პრეტენზია– საქმე N08-12.

ასევე შეფასების კითხვარი არის განთავსებული სასწავლებლის ვევ-გვერდზე.

შევაფასეთ ჩვენი სასწავლებლისთვის წლის განმავლობაში გაწეული სხვადასხვა მომწოდებელის მომსახურება (ინახება საქმე N08-197-ში). შეფასების საფუძველზე გამოვყოფთ მომწოდებლებს ვისი მომსახურება ჩვენ შევაფასეთ კარგად და საჭიროებისამებრ გავნაგრძობთ მათთან თანამშრომლობას; წლის განმავლობაში არ დაფიქსირდა არც ერთი არადამაკმაყოფილებელი მომსახურება. შეფასებულია 2025 წლის 60 მომწოდებელი. შემუშავებულია 2022-2023-2024-2025 წლების სხვადასხვა სახის მომსახურები მომწოდებელთა შეფასების შედარებითი ანალიზი.

15. SWOT ანალიზის (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება)

სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრიორიტეტების გამოკვეთის, კონკრეტული სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების და ახალი იდეების გენერირების ინსტრუმენტია სტრატეგიული ანალიზი, რომლისთვისაც სასწავლებელი იყენებს SWOT ანალიზის (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება) მეთოდს. რომელიც უზრუნველყოფს:

ა) სამომავლო პრიორიტეტებისა და სასურველი, მისაღწევი მიზნების განსაზღვრას;

ბ) პროგრესის მიღწევისთვის კონკრეტული საფუძვლების შექმნას;

გ) დაინტერესებულ პირთა ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და მათი ხედვების და ინტერესების გათვალისწინებას;
დ) ხელს უწყობს სასწავლებელში ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას;
ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება Strength, Weakness, Opportunity, Threat (SWOT)

სასწავლებლის შეფასებისა და ანალიზისათვის, გამოყენებულ იქნა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი - SWOT ანალიზი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ იქნა სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

სუსტი მხარეების დაძლევისთვის და ბუსსს ანრის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია ყველა არსებული შესაძლებლობების გამოყენება, რითაც იქნება შესაძლებელი საფრთხეების შემცირება ან თავიდან აცილება. საფრთხეების უარყოფითი გავლენის შემცირება ან შესუსტება შესაძლებელია რეალიზებული შესაძლებლობების ძლიერი დადებითი გავლენით. დაწესებულებას გააზრებული აქვს თავისი სუსტი მხარეები და ყოველი წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია გასაუმჯობესებელი ღონისძიებები.

სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგი განხორციელდა „ბუსსს ანრის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგი ჩატარებულია 2024 წელს.

16. შესრულებული და შეუსრულებელი მიზნების მიზან-შედეგობრივი ანალიზი

2025 წლის მიზნების შესრულება:

2025 წლის 15 იანვრით დამტიცებულია „ხარისხის პოლიტიკა და მიზნები“ ნდ 2-010128/GEO/ENG. პოლიტიკა რცება უცვლელი, ხოლო 2025 წლისტვის დასახული იყო შემდეგი მიზნები:

1) საქმის წარმოების (მსმენელთა განცხადებების მიღების პროცესის) ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა - **მიზანი მიღწეულია.** სასწავლებლის ვებ გვრედზე ჩაშენებულია ელექტრონული განცხადება.
https://www.mtc-anri.edu.ge//?do=registration

2) კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, პიარ კამპანიის ფარგლებში, არა ნაკლებ 1 აქტივობის განხორციელება - **მიზანი მიღწეულია.**
წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება, სასწავლებელი ჩართული იყო სარეკლამო, გაცნობით ქტოვობებში:
https://www.facebook.com/BHMESANRI/posts/pfbid0MkuVnJRMqeLFXeq4oK2DCPv6dXgkjuCZjcPuLui9AYdadzVCCe4e7JE89eo3W2fxl?rdid=L2EE8iXMjXSoGVCX#

3) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მსურველთა მოზიდვის მიზნით არა ნაკლებ 3 აქტივობის განხორციელება - **მიზანი მიღწეულია.**
მოეწყო არა ერთი გასვლითი პრეზენტაცია სკოლებში და ღია კარის დღე სასწავლებელში:
https://www.facebook.com/story.php?story_fbid=1171828511405130&id=100057339765057&rdid=DoXWgsYi6bzITFn7#
https://www.facebook.com/story.php?story_fbid=1365859945335318&id=100057339765057&rdid=jOKUNw3SuHDlIDdX#
https://www.facebook.com/reel/1392938069284730

4) პერსონალისთვის ანაზღურების მომატება არანაკლებ 10% წინა წელთან შედარებით - **მიზანი მიღწეულია.**
სამუშაო მოცულობის მატებასთან დაკავშირებით, წლის განმავლობაში, 6 თანამშრომელს მოემატა ხელფასი, სხვადსხვა პროცენტული მაცვენებელით11%-დან 50%-დე (11%, 37%, 45%, 50%).

5) ახალგაზრდა კადრების/მოქმედი მეზღვაურების/დარგის სპეციალისტების (მათ შორის ინსტრუქტორები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) მოზიდვის მიზნით მინიმუმ 1 ახალი ინსტრუქტორის და მინიმუმ 1 პროფესიული განათლების მასწავლებლის აყვანა. - **მიზანი მიღწეულია.**
სხვადასხვა პორტალზე ვაკანსიის განცხადების საფუძველზე შემოსული იყო 5 მეზღვაურის განცხადება.

! ვინაიდან ახალგაზრდა, მოქმედი მეზღვაურების ნაკლებობა კვლავ რჩება საწვრთნელ ცენტრში სუსტ მხარედ, 2026 წლის მიზნებში კვლავ განისაზღვროს ახალგაზრდა კადრების/მოქმედი მეზღვაურების/დარგის სპეციალისტების (მათ შორის ინსტრუქტორები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) მოზიდვა.

ბუსსს ანრის მიზნების შესრულების 5 წლის შედარებითი ანალიზი შედეგად გამოკვეთილია მიზნების შესრულების მზარდი მაჩვენებელი, და ბოლო ორი წლის 100% შესრულება, რაც თავის მხრივ ხარისხის გაუმჯობესების, კვალიფიკციური პერსონალის არსებობს და წინსვლის, განვითარების მტკიცებულებაა:

2025 წელი - 100%
2024 წელი - 100%
2023 წლის - 86%
2022 წელი - 63,6%
2021 წელი - 60%

17. რისკების შეფასების ანალიზი

რისკების შეფასება და გაანალიზება მიმდინარეობს ხარისხის მართვის სისტემისა და ძირითადი პროცესების მიხედვით ISO 9001:2015 სტანდარტის 9.3.2 პუნქტის "e" ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

რისკების შეფასება ასახულია რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმაში. წლის განმავლობაში ვაკვირდებით სასწავლებელში მიმდინარე პროცესებს და მათთან არსებულ რისკებს, რაც აისახება რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების სამომავლო გეგმაში.

სასწავლებელში დანერგილია უსაფრთოების ნორმები, შემუშავებულია რისკების მართვის და პრევენციის გეგმა, დამონტაჟებულია საევაკუაციო კიბე შესაბამისი გასასვლელებით, ყოველ სართულზე არის ხანძარსაწინააღმედო ყუთები, საევაკუაციო გასასვლელების მნათობი აღმნიშვნელები, ხანძრის მაქრობები, სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო თვალი; ვიდეო კონტროლს აწარმოებს ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება. სასწავლებელში დანიშნულია ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების და რისკების მართვის პროცესებზე.

რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმაში გათვალისიწნებული ყველა მიმართულების რისკები და მათი პრევენციული ღონისძიებები, რომელთა შესრულებას მონიტორინგის უწევს როგორც ხარისხის სამსახური და ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება, ასევე თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

ბუსსს ანრის საქმიანობა მიმართულია 3 ძირითად პროცესზე:

1) ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი
2) საგანმანათლებლო პროცესი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
3) მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების პროცესი

გათვალისიწნებულია ამ ძირითადი პროცესებიდან გამომავალი სხვადასხვა პროცესები და ამ ყველა ამ პროცესის რისკების გააზრებას და შეფასებას სასწავლებელი ახდენს ყოველწლიურად.

2025 წლის 15 იანვარს დამტკიცებული რისკების გეგმებიდან გამომდინარე მკაიფიოდ ჩანს, რომ სასწავლებელი აანალიზებს, იაზრებს და სათანადოდ აფასებს თავის სუსტ, ძლიერ და რისკის შემცვლელ მხარეებს.

18. ბუსსს ანრის ხარისხის პოლიტიკის, მიზნების და ორგანიზაციის კონტექსტის ანალიზი, განახლება

18.1 ბუსსს ანრის პოლიტიკა

ბუსსს ანრის ხარისიხს განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ჩართულობით მოხდა 2026 წლის პოლიტიკის, მიზნების (ნდ 2-010128/GEO/ENG) და ორგანიზაციის კონტექსტის (ნდ № 2-0201-04) შემუშავება:

2026 წლისთვის ხარისიხს პოლიტიკა რჩება უცვლელი და განისაზღვრა შემდეგი პრონციპებით:

ბუსსს ანრის ხარისხის პოლიტიკას წარმოადგენს მიზანდასახული ღონისძიებთა კომპლექსი, რომელთა მეშვეობითაც ხდება მომსახურების და მისი პირობების ხარიასხიანი შესრულების უზრუნველყოფა და შპს ბუსსს ანრის მომხმარებლისა და დამკვეთის მომსახურების სრული დაკმაყოფილება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მკაცრი დაცვით;
ყოველივე ამის უზრუნველყიოფისათვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015–ს შესაბამისად დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის გამოყენებით შპს ბუსსს ანრის ხარისხის სამსახური სამუშაო და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ახდენს შინაგანაწესის, პროცედურების, დებულებების, ინსტრუქციების, აუცილებელი ფუნდამენტალური პროგრამების, მოდულების, სასწავლო გეგმების, საჭირო სახელმძღვანელოების შემუშავებასა და დანერგვას;
ნაციონალური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საზღვაო სპეციალისტების მომზადება/გადამზადების, სერთიფიცირებისა და პროფესიული სტუდენტების განთლების წარმოებისთვის იყენებს აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.
შპს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს:

1) ბუსსს ანრის მომხმარებლის, პერსონალისა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნების და იმედების შესრულება, დაკმაყოფილება, გამართლება;
2) ბუსსს ანრის საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესება, რის საფუძველზეც გაიზრდება სასწავლებლის კონკურენტუნარიანობა მომსახურების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე;
3) ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება ორგანიზაციის ყველა დონეზე, ბუსსს ანრის ადმინისტრაციის მუდმივი კონტროლის ქვეშ;
4) ხარისხის მართვის სისტემაზე შესაბამისობის უზრუნველყოფა და ხარისიხის მართვის სისტემის შედეგიანობის უწყვეტი ამაღლება;

5) შეუსაბამობების დროულად აღმოაჩინა და აღმოფხვრა;
6) რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების გატარება;
7) ხარისხის მართვის სისტემის გაანალიზებით მიღწეულზე არ შეჩერება და მისწრაფება უფრო მაღალი დონის მოსაპოვებლად;
8) სასწავლებლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დახვეწა და და მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია;
9) თანამშრომლებისთვის სამუშაო სათანადო პირობებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის სრულყოფა;
10) წამყვან საზღვაო სასწავლო დაწესებულებებთან და მსოფლიოს სანაოსნო და საკრუინგო კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნება და განავითარება;
11) საზღვაო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვა, მონიტორინგი, განვითარება, გაუმჯობესება;
12) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
13) პროფესიული სტუდენტების ადმინისტაციული მხარდაჭერა, უსაფრთოების უზრუნველყოფა;
14) პერსონალის მხარდაჭერა და უსაფრთოების უზრუნველყოფა;
15) ინტერნაციონალიზაციის განვითარება;
16) სოცილაური პასუხისმგებლობა;
17) გენდერული თანასწორობისა და ტოლერანტობის შენარჩუნება.

ბუსსს ანრის ხარისხის პოლიტიკა მიმართულია საქმიანობის მუდმივი გაუჯობესებისკენ ნაციონალური და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

ბუსსს ანრის ურთიერთთანამშრომლობა მომხმარებელთან, მომწოდებელთან და ყველა დანარჩენ პარტნიორებთან, მომსახურებისა და მოქმედების მხრივ, ხდება როგორც ხარისხის გამოხატვა.

ბუსსს ანრის ხელმძრვანელობის მიერ ფორმულირებული და ჩამოყალიბებული საერთო პოლიტიკა, სტრატეგია და ხარისხის პოლიტიკა აუცილებლად უნდა იქნას გაცნობილ ყველა თანამშრომელზე ორგანიზაციული სტრუქტურის ნებისმიერ დონეზე.

18.2 ბუსსს ანრის მიზნები

ბუსსს ანრის შესრულებული და შეუსრულებელი მიზნების მიზან-შედეგობრივი ანალიზი მოყვანილია ამ ანალიზის მე–17 თავში.

ბუსსს ანრის განახლებული 2026 წლის მიზნებად განსაზღვრულია:

1) კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, პიარ კამპანიის ფარგლებში, აქტივობის გაზრდა, წინა წელთან შედარებით 5-7 აქტივობით მეტის შესრულება;
2) გარე აუდიტ(ებ)ის, მონიტორინგ(ებ)ის გავლა არცერთი (ნული) მნიშვნელოვანი შეუსაბამობის/ ხარვეზის გარეშე;
3) ახალგაზრდა კადრების/მოქმედი მეზღვაურების/დარგის სპეციალისტების (მათ შორის ინსტრუქტორები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) მოზიდვის მიზნით მინიმუმ 1 ახალი ინსტრუქტორის და მინიმუმ 1 პროფესიული განათლების მასწავლებლის აყვანა

მესამე მიზანი, როგორც 2025 წელს, 2026-შიც კვლავ აქტუალური რჩება.

18.3 2026 წლის ორგანიზაციის კონტექსტში განახლებულია:

- ✓ მომსახურების მომწოდებლები
- ✓ ბუსსს ანრის კონკურენტები
- ✓ ბუსსს ანრი გაწევრიანება

19. ბუსსს ანრის მუშაობისა და ხმს-ის მუშაობისათვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტების საკმარისობა

1) წლის განმავლობაში ხარისხის სამსახურში მიმდინარეობდა ახალი საქმეების, ნორმატიული დოკუმენეტების და მოქმედი ფორმების აღრიცხვა ელექტრონულად, რომლის საფუძველზე შედგენილია შპს ბუსსს ანრის საქმეთა ნომენკლატურაში და მოქმედი ფორმების ჩამონათვალში არ შესული ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელსაც ამტკიცებს გენერალური დირექტორი. დამტკიცებული ჩამონათვალის საფუძველზე ხარისხის სამსახური ანახლებს ნდ № 2-010103 „ბუსსს ანრის დოკუმენტების (შიდა , გარე), მოქმედი ფორმების ფონდი, საქმეთა ნომენკლატურა“.
2) ნდ № 2-010103 „ბუსსს ანრის დოკუმენტების (შიდა , გარე), მოქმედი ფორმების ფონდი, საქმეთა ნომენკლატურა“. ნომენკლატურა ნომენკლატურა შემუშავებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №72–ით დამტკიცებული ,,დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის“ მიხედვით, მოწონებულია შპს ბათუმის

უმაღლესი სზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის საექსპერტო კომისიის მიერ, (2022 წლის 09 დეკემბრის ოქმი №1) და შეთანხმებულია აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოსთან.

3) ახალი ნდ № 2-010103 „ბუსსს ანრის დოკუმენტების (შიდა, გარე), მოქმედი ფორმების ფონდი, საქმეთა ნომენკლატურა“ საფუძველზე ხარისხის სამსახური უგზავნის ყველა სტრუქტურულ ერთეულს ამონაწერს საქმეთა ნომენკლატურიდან, სადაც ჩამოთვლილია ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის საქმეები და მოქმედი ფორმები. ამონაწერი უნდა იყოს გამოკრული თვალსაჩინოდ სტრუქტურული ერთეულის სამუშაო სივრცეში და აქტუალიზირებული ყოველი ახალი წლისთვის.

4) ხმს შიდა შემოწმების პროცესში შიდა შემოწმების აუდიტორები ამოწმებენ საქმეთა წარმოების და შენახვის პროცესებს, შესაბამისობას ნომენკლატურასთან.

5) შესაძლებელია ძველი არააქტუალური საქმის, მოქმედი ფორმის თუ ნდ გაუქმება ან/და ახალის შექმნა ხარისხის სამსახურში განაცხადის წარდგენით. გაუქმებული ნორმატიული დოკუმენტის, მოქმედი ფორმის თუ საქმის ნომერი გადადის რეზერვში.

20. წინადადებები ბუსსს ანრიში ხმს-ის ამაღლების და მუდმივად შენარჩუნების შესახებ

1) ხმს-ის ამაღლება და მუდმივად მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება სს ISO 9001:2015 შესაბამისად აუცილებელია თავისდროულად იქნას ჩატარებული შემოწმებები, შეფასებულ იქნას რისკები და დადგინდეს პრევენციული ქმედებები, მუდმივად ხდებოდეს კონტროლი თანამშრომელთა მუშაობის პროცესზე, საჭიროებისამებრ ტარდებოდეს თანამშრომლებისათვის ტექნიკური სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა სემინარებზე, ტრენინგებზე დასწრებით, დადებითი გარემოს შექმნა როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე მსმენელების, სტუდენტებისა და სტუმრებისთვის;
2) პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებზე შესაბამისობა;
3) კომპეტენტური ორგანოების და პირების რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება;
4) შიდა და გარესუდიტის დროს 0 მნიშვნელოვანი შენიშვნის აღმოჩენა;
5) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მომხმარებელბის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ინოვაციების დანერგვით;
6) კვალიფიცირებული კადრების მოზიდვა, მათი დატრენინგება;
7) კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;
8) სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება;
9) ინტერნაციონალიზაციის განვითარება;
10) პიარ კამპანიების გაძლიერება.

21. ხმს გაუმჯობესების რეკომენდაციები

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 2 ოქტომბრის №85 ბრძანების „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების აღიარების მაძიებლის თვითშეფასების ფორმა“ №4 დანართის და „საზღვაო საწვრთნელი დაწესებულების აღიარების სტანდარტები“ №5 დანართის შესაბამისობის დადგენის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა და არა უგვიანეს 5 ივლისისა განცხადების წარდგენა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის აღიარების მოპოვების მიზნით.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების მიზნით მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა და არა უგვიანეს 2027 წლის თებერვლისა ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის განცხადების წარდგენა სსიპ-განატლების ხარისხის განვიტარების ეროვნულ ცენტრში.
- ადგილობრივი, საქართველოს მაშტაბით, სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, დარგის სპეციალისტ(ებ)ის, პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის მოწვევა მასტერ-კლას(ებ)ის ჩასატარებლად;
- კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით დაიგეგმოს აქტივობები ახალგაზრდა, მოქმედი მეზღვაურების მოზიდვა ინსტრუქტორებად;
- კონკურენუნარიანი გარემოს შესანარჩუნებლად ინფრასტრუქტურის, მატერიალუ–ტექნიკური ბაზის განახლება;
- ვებგვერდის აქტუალიზაცუა;
- SWOT ანალიზი;
- გარე აუდიტების/შემოწმებების შედეგად გამოვლენილი შენიშვნები/რეკომენდაციების შემცირება;
- პროფესიული სტუდენტების, მსმენელების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო და საწვრთნელი პროცესების მართვა, ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- საკრუინგო, გემთმფლობელ კომპანიების წარმომადგენელბთან შეხვედრა, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება;
- თანამშრომლებთან საინფრმაციო შეხვედრების, მასტერ-კლასების და ტექ.სწავლებების გამართვა;
- დაწესებულებამ უნდა დაისახოს მიღწევადი მიზნები, ხოლო რასაც დაისახავს, იმის მისაღწევად უნდა გამოიყენოს მაქსიმალური ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსი და შესაძლებლობა;

22. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები

23. პერსონალის გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	მაია დავითიანი	სასწავლო პროცესის მენეჯერი	30.01.2026		
2	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი	30.01.2026		
3	მონიკა დიასამიძე	პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობის განყოფილების საქმისმწარმოებელი	30.01.2026		
4	მზია დუმბაძე	არქივარიუსი	30.01.2026		
5	სოფიკო მამულაძე	ბუღალტერი	30.01.2026		
6	ანა მუშამბაძე	პიარ-მენეჯერი	30.01.2026		
7	ლანა დუმბაძე	პროფესიული სტუდემტების პირადი საქმეების, რეგისტრაციის, მობილობის და რეესტრის მწარმოებელი	30.01.2026		
8	ომარ დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	30.01.2026		
9	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკარი	30.01.2026		
10	თამილა მიქელაძე	ექთანი	30.01.2026		
11	ირაკლი გოგიტიძე	შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი	30.01.2026		

12	ირაკლი ბეჟანიძე	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	30.01.2026		
13	მინდია თავართილაძე	ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფიელბის უფროსი	30.01.2026		
14	ვაჟა გეგიძე	პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის მენეჯერი	30.01.2026		
15	ზურაბ დიასამიძე	შესყიდვების სპეციალისტი	30.01.2026		
16	ალექსანდრე ხინველი	სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების უფროსი	30.01.2026		
17	არჩილ ბოლქვაძე	საფინანსო განყოფილების უფროსი	30.01.2026		
18	ბადრი ბერიძე	სასწავლო გემის კაპიტანი	30.01.2026		
19	მურად ნინიძე	ელექტრიკოსი	30.01.2026		
20	თამარ დარჩიძე	საქმისმწარმოებელი	30.01.2026		

24. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენთიფიკაცია, შემთანხმებელი პირი

1.1 შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება, №

ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

ნდ № 2-0201-16

1.2 შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი
ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ _____\

ნაწილი 2. შეთანხმება

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შენიშვნა
1	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ვლადიმერ ბოგდანოვი			

2	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი დავით ჩხაიძე			
3	იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე			

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____ _____ _____

ხელმოწერა სახელი, გვარი თარიღი